ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

1977
ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ
9
ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ
№ 184
(16924)
ᲨᲐᲑᲗᲘ
2 ᲙᲐᲠᲘ
1977

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ—

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲝ, ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲮᲔᲚᲨᲘᲐ!

ᲐᲠᲥᲘᲕᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘ

„მექანიზატორებო, მოსავლის ბედი თქვენს ხელშია!“ — ასეთი დევიზით შრომობენ დღეს რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორები. ახლა, მკის დროს, როცა მოსავლის აღების სამუშაოები მთელ რიგ რაიონებში დამამთავრებელ სტადიაში შევიდა, ძვირფასია ყოველი შრომითი დღე, ყოველი საათი. ამიტომ შეჯიბრება სოფლის მშრომელებისა, რომლებიც 1977 წლის მოსავლის აღებით არიან დასაქმებულნი, ამ დღეებში განსაკუთრებული ძალით არის გაშლილი და განსაკუთრებულ აზრს იძენს.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო გვაცნობებს აგვისტოს ბოლოსაწყისისათვის მოსავლის აღების მიმდინარეობის შესახებ. თავთავიანი მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურები (უსიმინდოდ) აღებულია 150 ათას ჰექტარ ფართობზე. ეს **გეგმის 70 პროცენტს შეადგენს და 30 პროცენტით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს, მაგრამ მარცვლეულის ნალეწი ცოტადაც ჩამორჩება შარშანდელს.**

სწრაფი ტემპით აწარმოებენ სამუშაოებს წითელწყაროს, რაიონის — რესპუბლიკის მთავარი საშემოდგომო მინდვრის მეურნეობები. მათ უკვე აღებულ ზონაში [illegible] ჰექტარზე, [illegible] ათასი ტონა. მათ არ ჩამორჩებიან სონაღოს, ყვარლის, ახმეტის, ლაგოდეხისა და მთელი რიგი სხვა რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. იპატოვის რაიონის მიწათმოქმედთა მაგალითისამებრ, ისინი მარცვლად იყენებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძლებლობებს.

ახლა ბევრგან რამ არის დამოკიდებული სატვირთო ავტომობილების მძღოლებზე, მათ ხელზე სწრაფად და უდანაკარგოდ მიიტანონ მარცვლეული ელევატორში.

(საქინფორმი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲥᲢᲝᲛᲑᲠᲝ ᲛᲐᲮᲘᲡᲪᲔᲛᲐ

ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ — ᲛᲔᲝᲠᲔᲓ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. („კომუნისტის“ კორ.). წარმატებით ასრულებს მეათე ხუთწლედის მეორე საიუბილეო წლის დავალებებს დედაქალაქის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი ლ. გვაჯაია) კოლექტივი. იანვარ-ივლისში გეგმის ზემით აქ რეალიზებულია 728 ათასი მანეთის პროდუქცია. განვლილ პერიოდში შვიდმა ნაწარმმა მოიპოვა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი, სულ კი ფაბრიკის თხუთმეტი სპეის პროდუქციას აქვს მიკუთვნებული უმაღლესი სპატეო ხუთკუთხა ნიშანი.

ნახევარ წელიწადში მკერავებმა მომხმარებელს სამ მილიონამდე მანეთის ხარისხიანშენიანი პროდუქცია მიაწოდეს, რაც მთლიანი პროდუქციის 13,5 პროცენტს შეადგენს. მეორე კვარტალში მათ ამ მხრივ კიდევ უკეთეს შედეგს (18,6 პროცენტი) მიაღწიეს. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 8,5 პროცენტით გაიზარდა, ხოლო პროდუქციის რეალიზაციის ზრდის ტემპი 8,2 პროცენტით.

ამ დღეებში ფაბრიკის კოლექტივი მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მონათესავე საწარმოთა შორის და ზედიზედ მეორედ მოიპოვა საკავშირო მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

მაღალი ჯილდო ქართველ მკერავებს საკავშირო მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილემ პ. მაქსიმოვმა გადასცა.

ᲕᲐᲓᲐᲒᲖᲔ 9 ᲓᲦᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ

ᲥᲣᲘᲑᲘᲨᲘ. (საკ. კორ.). ქვანახშირის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი ი. გოგბერაშვილი) ვადაზე 9 დღით ადრე შეასრულა საკოქსე კონცენტრატის გამოშვების შვიდი თვის დავალება. ახლა მომხმარებლის — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მისამართით ფაბრიკის ბუნკერიდან ყოველდღე გადიან ზეგეგმითი პროდუქციით დატვირთული ეშელონები. გამამდიდრებლებმა წლეულს დავალების გადამეტებით რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებს უკვე გაუგზავნეს 131 ათას მანეთამდე ღირებულების კონცენტრატი.

ამაღ ხუთწლედში ფაბრიკა გაუწყვეტლივ ზრდის პროდუქციის გამოშვების ტემპს, აუჯობესებს მის ხარისხს. განვლილ შვიდ თვეში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით საკოქსე კონცენტრატის გამოშვების ზრდამ 2 პროცენტი შეადგინა.

საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველაზე უკეთეს საწარმო მაჩვენებლებს აღწევენ ის ცეცები, რომლებსაც ვ. მგელაძე და ო. ბუბაშვილი ფუგანან სათავეში. ისინი მეშახტის დღეს ახალ შრომით საჩუქარს უმზადებენ.

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ᲭᲘᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის მაღაროთსამმართველოს კოლექტივმა შვიდი თვის დავალების გადამეტებით მეტალურგიულ მრეწველობას გაუგზავნა 3.200 ტონა ზეგეგმითი მანგანუმის მადანი. მაღაროში 2,4 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და თვითღირებულების შემცირებით მიღებულმა ეკონომიამ 34.000 მანეთი შეადგინა.

კონსტატუციის პროექტის განხილვის დღეებში სამთოელთა შრომითი ტემპი კიდევ უფრო ამაღლდა. საწარმოო უბნები, რომელთაც ს. საყვარელიძე და ვ. ლოლაძე ხელმძღვანელობენ, ახლა სექტემბრის ანგარიშში მუშაობენ. მათი პირობაა წლიური დავალება ოქტომბრის დღესასწაულისათვის განაღდონ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲥᲢᲝᲛᲑᲠᲝ ᲛᲐᲮᲘᲡᲪᲔᲛᲐ

ᲮᲣᲗᲘᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ᲜᲐᲠᲐᲛᲑᲔᲑᲘᲗ მუშაობს ხუთწლედის მეორე წელს ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი. ტყიბულელმა მაღაროელებმა დიდი გადაჭარბებით და ვადამდე შეასრულეს შვიდი თვის გეგმა. სახელმწიფომ გეგმის გადამეტებით 100 ათასი მანეთის სახაჯონლო პროდუქცია მიიღო.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲐᲖᲔ: ლენინის სახელობის მაღაროს ერთ-ერთი მოწინავე ბრიგადა, რომელსაც შოთა ციცქიშვილი ხელმძღვანელობს (მარცხნიდან): ვახტანგ ჩხენკელი, დავით გიორგაძე, არჩილ ნეფარიძე, შოთა ციცქიშვილი (ბრიგადირი), თამაზ ვარდოსანიძე, ზურაბ გაბრიაძე, ლევან გაბრიაძე და ჯამბულ ქათამაძე.

ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲬᲒᲘᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲨᲔᲞᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲥᲝᲒᲣᲚᲔᲗᲘ. (საკ. კორ.). ალამბრის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს საიუბილეო წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ 2.020 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ყველა ბრიგადასა და რგოლში აღმავლობით იმუშავეს. განსაკუთრებით დაწინაურდა ა. კომახიძის ბრიგადა, რომელმაც 1 აგვისტოსათვის შეასრულა წლიური გეგმა-ვალდებულება, მოკრიფა 96 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მკრეფავებმა გ. ბალაძემ, ლ. ანანიძემ, ნ. ზოიძემ მოკრიფეს 3-4 ტონა ჩაი თვითეულმა. მათ არც ნ. ბალაძე, მ. ზოიძე, ქ. ნოღაიდელი და სხვები ჩამორჩებიან.

სეზონის ბოლომდე მეთორმეტე ბრიგადელები სახელმწიფოს კიდევ ათობით ტონა ნედლეულს მიჰყიდიან.

ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲯᲩᲐᲘᲔᲑᲘ

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ. (საკ. კორ.). სოფელ ჩოჩხათის კოლმეურნეობაში თავი ისახელა წარჩინებულმა მეჩაიემ ნორა სარიშვილმა, რომელმაც მიმაგრებული 0,75 ჰექტარა პლანტაციიდან მოკრიფა 7.800 კილოგრამი „მწვანე ოქრო“, რაც ბევრად სჭარბობს წლიურ დავალებას.

მოწინავე მკრეფავს გადაწყვეტილი აქვს სეზონში მოკრიფოს 12.500 კილოგრამი ფოთოლი, იგი ეჯიბრება სოფელ შუხუთის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიეს ნაზი კალანდარიშვილს. სეზონის ბოლოს გაირკვევა ვინ გაიმარჯვებს ამ საინტერესო შეჯიბრებაში.

400.000 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ ᲩᲐᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲘᲡ ᲒᲐᲦᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲗᲕᲔᲐ!

ᲕᲘᲠᲘᲤᲝᲗ ᲨᲔᲣᲤᲔᲠᲮᲔᲑᲚᲐᲓ, ᲐᲠ ᲒᲐᲕᲐᲣᲨᲔᲨᲝᲗ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ!

ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲐ 8 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ (ᲢᲝᲜᲝᲑᲘᲗ)

ავტონომიური რესპუბლიკა, რაიონები	წლიური გეგმა-ვალდებულება	მოკრეფილი წლის დასაწყისიდან	აგვისტოში	
			გეგმა-ვალდებულება	შესრულება
აფხაზეთის ასსრ	75000	60169	12000	2493
აჭარის ასსრ	55500	46935	9000	1711
მახარაძე	70000	57181	12300	1709
ზუგდიდი	54000	41139	8800	1772
წალენჯიხა	25500	19087	4100	455
გეგეჭკორი	21000	15977	3400	411
ლანჩხუთი	19000	16123	3100	551
ჩხოროწყუ	18500	14715	3000	333
ჩოხატაური	11000	9269	1800	303
წყალტუბოს ზონა	10500	8247	1700	306
ცხაკაია	9800	7499	1600	283
ტყიბულის ზონა	8800	7204	1400	517
ხობი	8000	6630	1300	254
წულუკიძე	8000	6211	1300	109
სამტრედია	2500	1935	500	59
თერჯოლა	1050	912	200	12
ჭიათურის ზონა	980	655	200	58
აბაშა	900	664	200	14
გალი	630	530	100	9
სულ საქართველოში	400600	321092	65000	11469

ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲜᲘ



ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲒᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ

ᲙᲘᲨᲘᲜᲝᲕᲘᲡ საბჭოთა რაიონისა და მოლდავეთის ერთ-ერთი სასოფლო რაიონის — კუტუზოვის რაიონის მშრომელებმა ხელი მოაწერეს გრძელვადიან ხელშეკრულებას საწარმოო და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. იგი ითვალისწინებს მატერიალურ-ტექნიკურად დაეხმარონ სოფელს, კერძოდ, მოსავლის აღებასა და გადაზიდვაში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტში. სოფლის მშრომელები უშუალოდ საბჭოთა რაიონის საწარმოებში გახსნიან ბოსტნეულისა და ხილის მუდმივმოქმედ პავილიონებს.

ცალკეული პუნქტებით გათვალისწინებულია გამოცდილების გაზიარება პარტიული მუშაობის დაგეგმვის, ახალგაზრდა კომუნისტთა სწავლების ორგანიზაციის, რაიონებისა და შრომითი კოლექტივების სოციალური განვითარების დარგში.

ᲡᲢᲣᲓᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ. ახალმოსახლეობა იზეიმა ერევნის კომბინატის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებულმა სოპერო სტუდიამ. ორიგინალური არქიტექტურის შენობაში არის ოთხასადგილიანი დარბაზი, ვრცელი სარეპეტიციო ოთახები.

აქ გაიმართება მუსიკალური წარმოები, სპექტაკლები, კონცერტები და კონკურსები. (საკდესი).

7-8 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

„ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲩᲕᲔᲜᲛᲐ გამომცემლობებმა ბევრი იმუშავეს იმისათვის, რომ მოზარდ თაობას ხელი ჰქონოდა საბჭოთა კლასიკა, ოქროული მწერლების საუკეთესო ნაწარმოებები, — ნათქვამია კვირის მოწინავეში (**„ᲮᲝᲠᲩᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“**). საიუბილეო წელს დაიწყო მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის 50-ტომიანი ბიბლიოთეკის გამოცემა. მაგრამ საიდუმლო არ არის, რომ საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურაზე, განსაკუთრებით მხატვრულ ლიტერატურაზე მოთხოვნილება ჯეროვნად ვერ დაკმაყოფილდება. ამ ლიტერატურის გამოშვება უფრო ნელა იზრდება, ვიდრე მკითხველის მოთხოვნა. გამომცემლობებმა უნდა გამონახონ დამატებითი რეზერვები ნორჩი მკითხველებისათვის გათვალისწინებული ნიჭიერად დაწერილი ნაწარმოებების გამოშვების გასათართულებლად, ამ წიგნების გამოცემის ვადების შესამცირებლად, პოლიგრაფიული გაფორმების გასაუმჯობესებლად.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სხვადასხვა მუშაობაში ჩაბმა სრულიადაც არ არის უბრალო საქმე. ეს იმით აიხსნება, რომ დახვეწა აკლია ამგვარი საქმიანობის ფორმებს. საქმე ის გახლავთ, რომ სწორედ აქ შეგვიძლია ეფექტიანად გადავჭრათ ბევრი საკითხი, ვთქვათ, ბავშვების აღზრდის, ბუნების დაცვის, დრომოჭმული წესჩვეულებების, ტრადიციების დაძლევისა და სხვა საკითხები.

ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება ასეთი პროცესები აისახოს ახალ კონსტიტუციაში. წინადადება შემოგვაქვს ძირითადი კანონის 93-ე მუხლს დაემატოს სიტყვები: „სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ეყრდნობიან მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოებს, რომლებსაც თვითონ ჰქმნიან ქალაქებისა და დიდი სოფლების მიკრორაიონებში“. („თვითმმართველობის სკოლა“ — მიკრორაიონის საბჭოს თავმჯდომარე ო. კვანტალიანი; საბჭოს წევრები: ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ ბრიგადირი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გ. რიმნისთაველი, ფიხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ მუშა, სოციალისტური შრომის გმირი გ. ჩიხაშვილი).

ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს როლი, რომელსაც პარტიული ჯგუფი ასრულებს სკკპ XXV ყრილობის გადწყვეტილებათა შესრულებისათვის მშრომელთა დარაზმვის საქმეში, წერს გაზეთი გუშინდელ მოწინავეში („პარტიული ჯგუფის ავტორიტეტი“), პირველადი პარტორგანიზაციების გაწეული შინაგანი რგოლები, რომლებიც ჩვენი პარტიის საფრთხელს შეადგენენ, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის წინა ხაზზე არიან. პარტიული ჯგუფების აქტიურობაზე, სიმტკიცეზე, მიზანდასახულობაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ხუთწლედის ძირეული ამოცანების წარმატებით შესრულება — წარმოების ეფექტიანობის, მთელი მუშაობის ხარისხის ამაღლება.

შექმნა სახეები, რომლებიც განასახიერებენ ჩვენი თანამედროვეების მაღალ ზნეობრივ თვისებებს, ახსნა ხასიათები, რომლებიც აქტიურად ამცვალრებენ ამ თვისებებს საქმეში, ადამიანებთან ურთიერთობაში, და ღიმილიანად უძლებენ გამოცდას ზნეობრივ სიმტკიცეზე ნებისმიერ, თვით უძნელეს სიტუაციაშიც, — ეს ცხოვრებისეული, შემოქმედებითად საინტერესო და მაღლიანი თემაა. ფილმი „ჯვითხე შენს თავს“, ჩემი აზრით, მხოლოდ უახლოვდება ამ თემას, მაგრამ საკმაოდ სერიოზულად უახლოვდება. (ვ. ბარანოვი — „მაშინ შენ პიროვნება ხარ...“).

შემჩნეულია, რომ ახლანდელ ყმაწვილთან ყოველდღიურ ურთიერთობაში ხშირად იგებს „ღია“ პედაგოგიკა, რომელიც მოზარდს აბამს უფროსების ურთიერთობის სფეროში, იზიდავს თავისი ნდობით. ხდება ხოლმე, როცა წამოკრილი უთანხმოების პატიოსნად გამოაშკარავება და გამოთქმა ჯობს. არ უნდა შევშინდეთ, თუ თავდაპირველად ყმაწვილი იცდება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ეს სიტუაცია. მომავალში, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ახლობელი ადამიანების ნდობა, რომლებიც არაფერს არ უშალავენ მას, მოზარდს აიძულებს თვითონაც პატიოსნება გამოიჩინოს.

განა არ გინახავთ ოჯახები, სადაც რთულ უთანხმოებაშიც კი ბავშვი გონიერ, ფაქიზ და გულისხმიერ მსჯელად გამოსულა. ჩვენ კი ხომ მხოლოდ იმაზე ვოცნებობთ, რომ ჩვენს გვერდით იზრდებოდეს არა უბრალოდ ნათესავი, არამედ საიმედო მეგობარი (პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ს. მიაგჩენკოვი — „მოჩვენებითი კეთილდღეობა“).

ᲞᲠᲐᲕᲓᲐ

ᲛᲝᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ!

ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 5 აგვისტოს ბრძანებულებით, ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების დარგში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ მესხეთის (ახალციხის) სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობები:

ზინაიდა ილიას ასული **ბერძენიშვილი** — მსახიობი

ილგუჯა ნიკოლოზის ძე **გოგიძე** — მსახიობი

ომარ ნიკიფორეს ძე **ყურაშვილი** — მსახიობი

ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲭᲕᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 5 აგვისტოს ბრძანებულებით, ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების დარგში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მესხეთის (ახალციხის) სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკებს მიენიჭათ საპატიო წოდება:

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘᲡ:

ოსიბ პავლეს ძე **ბაკურაძეს** — მსახიობს

ლია ვარლამის ასულს **თევზაძეს** — მსახიობს

მეგი ანდროს ასულ **თუშიშვილს** — მსახიობს

გულაფ შოთას ძე **ჯოხრეიძეს** — მსახიობს

ვაჟა ალექსანდრეს ძე **ნიკოლაშვილს** — მსახიობს

გალინა გერონტის ასულ **პატარიძეს** — მსახიობს

თეიმურაზ (ოთარ) ლუკას ძე **რეხვიაშვილს** — მსახიობს

ნაზი (ლილი) იოსების ასულ **სულუაშვილს** — მსახიობს

პეტრ სოლომონის ძე **ქადაგიშვილს** — მსახიობს

გალინა ირეოდონის ასულ **ხვიჩიას** — მსახიობს

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲙᲘᲡᲐ:

ოთარ სტეფანეს ძე **აწუყურელს** — მსახიობს, რეჟისორის ასისტენტს

ავთანდილ სერგის ძე **გოგოლაძეს** — მხატვარს.

□

10 წლის წინათ, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი ნახევარი საუკუნის იუბილეს წინ ქალაქ ახალციხეში დაარსდა მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი. მის კოლექტივში გაერთიანდნენ ახალგაზრდა ენთუზიასტები — საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის 1967 წლის კურსდამთავრებულნი.

მალე თეატრის დასმა მნიშვნელოვანი შემოქმედებითი წარმატებანი მოიპოვა, მაყურებელთა სიყვარულიც და აღიარება დაიმსახურა. თეატრის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ფორმაა გამსვლელი სპექტაკლები, რომლებსაც მსახიობები დაუღალავ ენერგიითა და ენთუზიაზმით უჩვენებენ ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებში. საბჭოთა მეურნეობებსა და საწარმოებში. 1971 წელს მესხეთის (ახალციხის) სახელმწიფო დრამატულ თეატრს მიენიჭა საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატის წოდება. თეატრი წარმატებით გამოვიდა მოსკოვსა და თბილისში.

ისევე როგორც ათი წლის წინათ, მესხეთის თეატრის მსახიობები ახლაც ენთუზიაზმით, ენერგიით აღსავსენი არიან. სურთ თავანათი ძნელი მსახიობური შრომით ადამიანებს მოუტანონ სიკეთე, მიანიჭონ სახარული, აზიარონ ცხოველმყოფელ თეატრალურ ხელოვნებას. (საქინფორმი).

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲫᲔ ᲑᲠᲔᲥᲜᲔᲕᲡ

ᲫᲕᲘᲠᲨᲐᲮᲝ ლეონიდ ილიას ძე! გასრულებთ რა თქვენს მითითებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დებულებებს საშემოდგომო სახნავების გაფართოების შესახებ, ჩვენ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეურნეოთაშორისო გაერთიანებებს მუშაკებმა მოლდავეთის კოლმეურნეებთან და საბჭოთა მეურნეობებს მუშებთან ერთად 180 ათასი ჰექტარით გაეზარდეთ მიმდინარე წლის საშემოდგომო ხორბლის ნათესები და დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წელს მოვიწეთ 39,2 ცენტნერი მარცვლეული ჰექტარზე. ამან შესაძლებლობა მოგვცა ამ ძვირფასი კულტურის მთლიანი მოსავალი გაგვეორკეცებინა. მთლიანად სამარცვლე თავთავიანი კულტურების ნათესები 215 ათასი ჰექტარით გაიზარდა და საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 36 ცენტნერი.

36-დან 20 რაიონის მექანიზატორებმა უზრუნველყვეს ჰექტარზე 40 ცენტნერზე მეტი ხორბლის მოსავალი, ხოლო უნგენის, ფალეშტის, გლოდიანისა და კრიულიანის რაიონებში მოწეულია 46-50 ცენტნერი. მთელმა რიგმა მეურნეობებმა ჰექტარზე 60-65 ცენტნერი ხორბალი აიღეს.

მოსავალი ავიღეთ 12-14 სამუშაო დღეში კომპლექსური რაზმებით, რომლებმაც ლეწვასთან ერთად დაბრეულეს სამჯა, შეიტანეს ნიადაგში ორგანული და მინერალური სასუქები, აიმაღლეს ნაწვეთარი და მხოლოდ მოხნეს ნიადაგი. დღეისათვის აღებული ფართობების ნახევარი დამუშავებული ია მომავალი წლის მოსავლისათვის.

30-ზე მეტმა ეკიპაჟმა ერთ კომბაინზე ათას ტონაზე მეტი მარცვლეული გალეწა, ხოლო კაგულის რაიონული გაერთიანების მექანიზატორებმა ძმებმა ნიკოლოზ და ივანე დერმენჟეებმა 1.361 ტონა, ლაზოვსკის გაერთიანების კომბაინერებმა კონსტანტინე და ბორის ეურმინსკებმა კი 1.210 ტონა გალეწეს.

გრიგორიოპოლის სამეურნეოთაშორისო გაერთიანების მუშაკების ლიდია გავრილოვასა და ტატიანა ფაკირის კომკავშირულმა ეკიპაჟებმა თითქმის 1000-1000 ტონა პურეული გალეწეს.

მოლდავეთის ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის პურეულის მიყიდვის გეგმები, საგვიანო მარცვლეული კულტურებიც გარდა, მოიმარაგა საჭირო სათესლე, სასურსათე და სადაზღვევო ფონდები. საკავშირო ფონდში 20 მილიონ ფუთზე მეტი მაღალხარისხოვანი ჭიმის ხორბალი მიჰყიდეს. გეგმით გათვალისწინებული 19 მილიონი ფუთის ნაცვლად. სიმინდის გარდა სა[illegible] ძირითადი მარცვლეული კულტურები დამზადებული.

მიღწეული მოსავლიანობა და საშემოდგომო კულტურების მთლიანი მოსავლის მნიშვნელოვანი ზრდა უზრუნველყოფილია იმ დიდი შესაძლებლობების მეოხებით, რომლებიც სოფლის მეურნეობაში შექმნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარულმა პოლიტიკამ და მუდმივმა ზრუნვამ, რასაც თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძეს, იმენთ სოფლის საჭიროებისათვის. ჩვენს წარმატებებს გუკავშირებთ ფასდაუდებელ დახმარებასაც, რასაც გვიწევენ მუშათა კლასი, მეცნიერება, პარტიული და საბჭოთა ორგანოები.

აღფრთოვანებულნი სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციით, რომელშიც აისახა მრომლიური კომუნისტური პარტიის ცხოველმყოფელი პოლიტიკა და რომელსაც მოლდავეთი ხალხი მთლიანად იწონებს და მხარს უჭერს, ჩვენ, მექანიზაციის სამეურნეოთაშორისო გაერთიანებათა მუშაკები, კოლმეურნეებთან და საბჭოთა მეურნეობების მუშებთან მჭიდრო თანამეგობრობით მიზნად ვისახავთ კვლავაც გავზარდოთ მარცვლეულის სათესი ფართობები, ავამაღლოთ ამ კულტურების მოვლა-მოყვანის აგროტექნიკა და უზრუნველყოთ მათი უნაკლო მოსავალი.

ადგილობრივმა თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძეს, რომ მიწათმოქმედების ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის სრულყოფის საფეხურზე შეუპოვრად ვიბრძოლებთ წარმოების ტექნიკური საშუალებების, სასუქების, სარწყავი მიწების, ელენერგიის, მოწინავე აგროტექნიკის მიწოდების მაქსიმალური გამოყენებისათვის და მივაღწევთ, რომ მეათე ხუთწლედის მორიგ, მესამე წელს კიდევ უფრო გავადიდოთ მარცვლეულის წარმოება და დამზადება.

მთელი სულითა და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდ ეფექტიანობა და წარმატებებს თქვენს დაუცხრომელ საქმიანობაში ჩვენი საყვარელი სამშობლოს აყვავებისათვის. ქვეყნად მშვიდობისა და ბედნიერებისათვის.

ᲬᲘᲠᲘᲚᲘᲗ ᲨᲔᲯᲐᲕᲜᲘᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲝᲚᲓᲐᲕᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲒᲚᲔᲥᲡᲣᲠ ᲠᲐᲖᲛᲔᲑᲨᲘ.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ მოსული ცნობები მოწმობენ, სამხრეთ აფრიკის

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ-ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ კონსტიტუციის პროექტის მეცამეტე მოხლეში მიტად საგულისხმო სიტყვებია: „საზოგადოებრივ სახარგებლო შრომა და მისი შედეგები განსაზღვრავენ ადამიანის მდგომარეობას საზოგადოებაში“. ადამიანი მართლაც შრომის შედეგით ფასდება ჩვენს ქვეყანაში.

პროექტის მეცამეტე მოხლის ეს სიტყვები ჩვენი თაბრიკის ყველა მშრომელს მიტადე დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს. ამ სიტყვებით აოთრთოვნებოლმა მეთრინველეობის თაბრიკის კოლექტივმა კონსტიტუციის პროექტის დამოქვეყნების შემდეგ გადიდებული ვალდებულებები აიღო და გადაწყვიტა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის სამშობლოს ოპატაკის ფრინველის ხორცისა და კვერცხის წარმოების, ეარითვე სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმების შესრულება. ნაკისი ვალდებულების განაღდებისათვის ჩვენი თაბრიკის მეთრინველეები ერთსულოვნად დაიბარეს ხმენ.

თაბრიკაში გეგმით 71 ათასი ფრთა ფრინველი უნდა ვყოლოდა, თაქტიურად 85 ათასი ფრთა გვყავს. აქედან 35 ათასი ფრთა კვერცხმდებელია. რაც გეგმით გათვალისწინებულს 10 ათასით სჭარბობს.

ფრინველს რაოდენობაზე, ეხადია, დიდად არის დამოკიდებული როგორც ხორცის. ისე კვერცხის წარმოება. ამიტომ თავისთავად თაბრიკის საერთო წარმატებაში დიდი როლი შეასრულა, როგორც სახორცე, ისე კვერცხმდებელი ფრინველის დიდი რაოდენობით გამოზრდამ. მაგრამ მხოლოდ ეს როდი წყვეტს წარმატების ბედს. დასამალი რადია, ზოგჯერ ფრინველის რაოდენობა ვიგმორს სჭარბობს, კვერცხმდებელი დაეგემალზე მეტია, მაგრამ ხორცისა და კვერცხის წარმოების გეგმის შესრულება მაინც ჭირს.

რაშია საქმე?

საქმე ეს არის, რომ მეფრინველემ, კვერცხმდებელთა თუ გამოსაზრდელ საამქროში რომ მუშაობს, ისე უნდა მოუაროს ზრდადასრულებულ თუ ახალგამოჩეკილ ფრინველს, რომ მინიმუმამდე შეამციროს ფრინველის სიკვდილიანობა, ზუსტად დაიცვას ფრინველის კვების რაციონი, საფრინველეებში დადგენილი ტემპერატურის. ტენის ნორმები, სისუფთავე, ყოველივე ეს ფუზრუნველყოფს როგორც კვერცხმდებელთა ნორმალურ მწარმოებლობას. ასევე მოზარდის ზრდა-განვითარებას. ჩვენი თაბრიკის მეფრინველეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წელს მათ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს.

პირველ რიგში წიწილების გამოჩეკის შესახებ მინდა ვთქვა. ინკუბატორში უნდა ჩაგვეწყო 228 ათასი ცალი კვერცხი, ფაქტიურად 326 ათასი ცალი კვერცხი ჩავაწყეთ. 78 ათასის ნაკლებად 103 ათასი ფრთა წიწლა ადგილზე მიტია, მაგრამ ხორცისა და კვერცხის წარმოების გეგმის შესრულება მაინც ჭირს.

რაშია საქმე?

საქმე ეს არის, რომ მეფრინველემ, კვერცხმდებელთა თუ გამოსაზრდელ საამქროში რომ მუშაობს, ისე უნდა მოუაროს ზრდადასრულებულ ფრინველს, რომ მინიმუმამდე შეამციროს ფრინველის სიკვდილიანობა. ეს ეხება დაკვლას ფრინველის კვების რაციონი, საფრინველეებში დადგენილი ტემპერატურის. ტენის ნორმები, სისუფთავე, ყოველივე ეს უზრუნველყოფს როგორც კვერცხმდებელთა ნორმალურ მწარმოებლობას. ასევე მოზარდის ზრდა-განვითარებას. ჩვენი თაბრიკის მეფრინველეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წელს მათ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს.

პირველ რიგში წიწილების გამოჩეკის შესახებ მინდა ვთქვა. ინკუბატორში უნდა ჩაგვეწყო 228 ათასი ცალი კვერცხი, ფაქტიურად 326 ათასი ცალი კვერცხი ჩავაწყეთ. 78 ათასის ნაკლებად 103 ათასი ფრთა წიწლა დადგა ადგილზე მიტია, მაგრამ ხორცისა და კვერცხის წარმოების გეგმის შესრულება მაინც ჭირს.

ნაშრომი რომ კარგად შეგვიფასონ, ამისათვის ბევრი რამ არის საჭირო. პირველ რიგში გეგმით გათვალისწინებული საკვები ერთეულის ხარჯვა საგრძნობლად შეამციროეთ. ყოველ 10 ცალ კვერცხზე 3,4 კილოგრამი საკვები ერთეულია გათვალისწინებული. ჩვენმა მეფრინველეებმა ფრინველის გეგმაზომიერი მოვლით მიაღწიეს იმას, რომ დახარჯეს 2,8 კილოგრამი საკვები ერთეული, ე. ი. ყოველ 10 ცალ კვერცხზე დაზოგეს 600 გრამი საკვები ერთეული. ამის შედეგად ფაბრიკის 170 ტონა საკვები ერთეულის ეკონომია აქვს. სხვანაირად რომ ვთქვათ, თითოეული კვერცხის თვითღირებულება 2 კაპიკით შემცირდა.

რაკი მეფრინველეებმა იციან, რომ შრომა და მისი შედეგები განსაზღვრავს ადამიანის მდგომარეობას საზოგადოებაში, ყველა მშრომელი ცდილობს კარგი სახელი მოიხვეჭოს.

ჯერ დოლენჯაშვილმა 8 ათასი კვერცხმდებლიდან 720 ათასის ნაცვლად 950 ათასი ცალი კვერცხი მიიღო და ყოველ 10 კვერცხზე 900 გრამი საკვები ერთეულის ეკონომია გასწია. ასევე მცირე რაოდენობის საკვებს ხარჯავს ერთ ალოგრამ ნამატზე ასამოსაზრდელ საამქროში კომპანიერელი მეფრინველე, პატარძეულის საშუალო სკოლადამთავრებული ეროვნეთერ ქართველიშვილი. რომელიც 5 ათას ფრთა ახლადგამოჩეკილ წიწლებს ყოლის 30 დღემდე. ქართველიშვილის წიწლებს შენარჩუნების პროცენტიც მაღალი აქვს. ყოველივე ამის შედეგად თაბრიკამ აქვს თვეში 40 ათასი მანეთი მოგება მიიღო.

ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი მიღწეულს არ სჯერდება. 7 ნოემბერს იგი სამშობლოს წლიური გეგმის შესრულებას უპატაკებს. საიუბილეო წლის ბოლო თვის გეგმის გადამეტებით მომხმარებელს მიაწვდის მილიონ ცალ კვერცხს, ასევე დიდი გადაჭარბებით შეასრულებთ ფრინველს სულადობის, ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმებს და ამით მეიელი ჩვენი თაბრიკის კოლექტივის ყველა წევრს საზოგადოებაში კარგი სახელი ექნება.

მ. ᲓᲐᲚᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

საგარეჯოს რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲤᲐᲡᲓᲔᲑᲐ

ᲠᲐᲪ ᲒᲕᲐᲜᲬᲠᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲒᲕᲐᲙᲐᲥᲔᲑᲡ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲪᲮᲐᲜᲐᲐᲓᲔ

ᲩᲕᲔᲜᲡ ქვეყანაში ყოველწლიურად მაღლდება მოსახლეობის ცხოვრების ეკონომიკური და კულტურული დონე, მატულობს მატერიალური ფასეულობა, რის გამოც ცხოვრება ბევრად უფრო ნაყოფიერი და ხალისიანი ხდება. ამავე დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ჩვენი საოჯახისათვის დამახასიათებელმა ტექნიკურმა პროგრესმა მნიშვნელოვანად შეამცირა ადამიანის კუნთური მოქმედება, რაც ცოცხალი ორგანიზმის ბიოლოგიური კანონის ერთ-ერთ წინაღმდეგ ჩვენებად ითვლება. მართალია, ადამიანის რთული მექანიზმების მეშვეობით ადამიანის ორგანიზმი შეეგუა ნაკლებად მოძძაგე (ბენზოდენელ) ცხოვრებას — ჰიპოკინეზიას. მაგრამ ეს მოვლენა ფიზიოლოგიური არ არის. ეინიადან კუნთური მუშაობის შეზღუდვა მნიშვნელოვნად აქვეითებს პირველ რიგში სასიცოცხლო ორგანოების (გულის, ფილტვების) ფუნქციონირებას, რაც საბოლოოდ უარყოფითად მოქმედებს ორგანიზმის საერთო ცხოველმოქმედებაზე.

უთოოდ ამიტომაც არის, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტში ჩვენი ხალხის ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე საპროგრამო მითითებებია მოცემული.

დღეს იშვიათად მოიძებნება ადამიანი, რომელსაც არ ესმოდეს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა იმ პროფილაქტიკურ ღონისძიებას, რომლებიც განპირობებენ ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელობას. მართალია თანამედროვე მედიცინისა და თარმაციის მიღწევებმა შექმნის მრავალ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის მძლავრი საშუალებები (ანტიბიოტიკები, მედიკამენტები. ქირურგიული და სხვა სახეობანი), მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ, მაგალითად, გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროფილაქტიკას.

შრომისა (სწავლის) და დასვენების პროცესს ორგანიზაცია, რაციონალური კვება, მავნე ჩვეულების (ალკოჰოლი, თამბაქოს წოვა და სხვ.) ოკუბდება. თვიზიკური აქტიურობა და ოპტიმალური, ნორმალ-ემოციური სტრესების შემცირება ის ძირითადი პროფილაქტიკური თაქტორებია, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებას. შრომის უნარის ზრდასა და სიცოცხლის ხანგრძლივობას.

თვიზიკური აქტიურობა (კუნთური მოძრაობა. სხვადასხვა ხარის თვიზიკური დატვირთვა). სხვა არა არის რა. თუ არა ორგანიზმის სიცოცხლისათვის აუცილებელი თაქტორი. მოძრაობის შეზღუდვა. როგორც ოკვე აღინიშნეთ. ეს პირველ რიგში ბიოლოგიური კანონის დარღვევას გულისხმობს. ამრიგად. თუ ადამიანმა ცხოვრებაში თვიზიკურად ვერ „იაქტიურა. ეს ნიშნავს. რომ ორგანიზმს შეუქმნას ყველა პირობა იმისათვის. რომ იგი დაძაბუნდეს და დაუჭვალითდეს შრომისუნარიანობა. ადამიანის სწორი თვიზიკური აღზრდა პირველ რიგში ვიგმთან და მიზანდასახულ კუნთურ მოქმედებას გულისხმობს. რის პრაქტიკულად განხორციელებაც ფიზიკური კულტურისა და სპორტის საშუალებით ხდება. არანაკლები მნიშვნელობა აქვს მშთ კომპლექსს, რომელიც მეცნიერულ გამოკვლევებს ეფუძნება.

რაკი ფიზიკური კულტურა და სპორტი მოსახლეობის ჯანსაღეობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მასობრივი საშუალებაა, ვფიქრობთ, რომ საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში, რომელიც კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ეფარფოფებს ადამიანის უფლებებს, იქ სადაც ლაპარაკია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვაზე (22-ე და 24-ე მუხლები) **მიზანშეწონილია მოვიხსენიოთ ფიზიკური კულტურა და სპორტი.** გარდა ამისა, ჩვენი აზრით, 42-ე მუხლს, სადაც აღნიშნულია მოქალაქის ჯანმრთელობის დაცვის უფლება, უნდა დაემატოს სიტყვები: **„საბჭოთა ადამიანი აქტიურად უნდა იყოს ჩაბმული მასობრივ ფიზკულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში“.**

ადამიანის ჯანმრთელების, მისი ეთიკლდღეობისა და ფიზიკური წრთობის პრობლემებზე იყო დიდი სკა-ბაასი ამას წინათ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელიც მიეძღვნა ჩვენს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხს.

და მართლაც, თითოეულ ჩვენგანს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ უმრავლეს შემთხვევაში ჯანმრთელობისა და შრომის უნარის შენარჩუნება, უპირველეს ყოვლისა, სწორ აღზრდაზეა დამოკიდებული, ვინაიდან სწორი აღზრდის შედეგად ადამიანი ბევრად უფრო შეგნებული ხდება.

ჩვენ პირობებში აღზრდის პრობლემა მიგვაჩნია კომპლექსურ სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემად... აღინიშნა ამ კრებაზე. ამიტომ ახალგაზრდობის აღზრდის დროს დღეს სხვა საკითხებთან ერთად, კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მათ თვიზიკურ აღზრდას, რაც კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

სამწუხაროა, მაგრამ თაქტია, რომ ჯერ კიდევ ბევრი ჩვენგანი არ უფრთხილდება ჯანმრთელობას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 30-40 წლის ადამიანები, რომელთა შრომითი საქმიანობა ფასავსი წარმატებებით. სწორედ ამ ასაკიდან უნდა დაიწყოთ ჯანმრთელობაზე ყურადღების გამახვილება და ამ ასაკში უნდა მოვიშვილოთ თვიზიკური კულტურა. როგორც ორგანიზმის ერთ-ერთი საკუთარი მატონიზირებელი საშუალება.

ფიზით სიარული, სირბილი, ცურვა, ნიჩბოსნობა, ველოსიპედით სეირნობა, სპორტთამაშები, ნადირობა და, რასაკვირველია. ტანვარჯიში სხვადასხვა სახეობანი — ეი კუნთური მოქმედების ის ძირითადი საშუალებები. რომლებიც ხელს უწყობენ ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ტურიზმი ადამიანის ორგანიზმის გაჯანსაღების ერთ-ერთი საწინდარია. ტურიზმის შემდგომი განვითარება ბევრად არის დამოკიდებული წარმოება-დაწესებულებებსა და სასწავლებლებში სწორად ჩატარებულ ორგანიზაციულ მუშაობაზე. ამავე დროს ტურიზმს უფრო ფართო რეკლამა უნდა შეექმნას. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფიზ. ფენომენებს. ეს ეხება ადამიანებს, ეეიქრობთ, რომ საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში ეს ეხებოდეს ადამიანებს, ეეიქრობ, ეეიქრობ, ეეიქრობ

მეგობრობისა და თანამშრომლობის გზით

გაზეთი „სკინტეია“ ლ. ი. ბრეჟნევისა და ნ. ჩაუშესკუს მეგობრული შეხვედრების შესახებ

ბუქარესტი. 8 აგვისტო. (საკადესი). რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ნ. ჩაუშესკუსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის შეგობრული შეხვედრა ყირიმში, როგორც ახალი უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა ჩაიწერება ჩვენი პარტიების, სახელმწიფოებისა და ხალხების მეგობრობის, მრავალმხრივი თანამშრომლობისა და სოლიდარობის ურთიერთობის მატიანეში, ნათქვამია „სარედაქციო სტატიაში, რომელიც რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ გაზეთმა „სკინტეიამ“ გამოაქვეყნა. შეიძლება ითქვას, რომ ვიზიტის მთელმა მიმდინარეობამ, გამართულმა აზრთა გაზიარებამ, გამოტანილმა დასკვნებმა, ფულითთადმა, მეგობრულმა ვითარებამ თვალსაჩინოდ ასახა, თუ რაოდენ მტკიცეა რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა, დაალსტურა მათი მტკიცე გადაწყვეტილება კვლავაც გააღრმაონ თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში.

რუმინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განუწყვეტელ აღმავალ განვითარებაში მთავარ, გადამწყვეტ როლს ასრულებენ ამხანაგების ნ. ჩაუშესკუსა და ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრები და მოლაპარაკები, რომლებიც მთავრდება ურთიერთგაგების გამოსაცვითია და მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების, თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობებისა და დარგების გამოვლენის კონკრეტულ ღონისძიებათა მიღებით.

ნაყოფიერი შედეგები მოიტანა აგრეთვე მათმა ახალმა შეხვედრამ ყირიმში, აღნიშნავს გაზეთი. შეხვედრის დროს, წერს „სკინტეია“, ნ. ჩაუშესკუმ გამოთქვა მთელი რუმინელი ხალხის აზრები და გრძნობები, როცა საბჭოთა ხალხს მიულოცა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის ბრძოლაში მოპოვებული წარმატებები. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ ურთიერთობა ვითარდება დადებითად ყველა დარგში. დღენიადაგ იზრდება და ფართოვდება რუმინეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა ეკონომიკის დარგში. მის დინამიზმს მოწმობს ის ფაქტი, რომ ამ ხუთწლედისათვის გათვალისწინებული საქონელბრუნვის 70 პროცენტით გადიდება, როგორც ჩანს, არა მარტო მოლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შესრულდება, წერს გაზეთი.

საერთაშორისო ცხოვრების საკითხებზე აზრთა გაზიარების ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემებს, აგრეთვე საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ზოგიერთ საკითხს.

ამხანაგებმა ნ. ჩაუშესკუმ და ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური და მუშათა პარტიების ნაციონალური სოლიდარობის შემდგომ განმტკიცებასა და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებას მარქსიზმ-ლენინიზმის, ბერლინში ევროპელ კომუნისტთა კონფერენციაზე შეთანხმებული პრინციპების საფუძველზე, წერს „სკინტეია“.

კმაყოფილებით მიესალმებიან რა ყირიმის შეხვედრის შედეგებს, ჩვენი ქვეყნის კომუნისტები, მშრომელები გამოთქვამენ რწმენას, რომ რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა და თანამშრომლობა კვლავაც განუხრელად განვითარდება ჩვენი ხალხების, სოციალისტური ქვეყნებისა და კომუნისტური პარტიების ერთიანობის, სოციალიზმის, მშვიდობისა და პროგრესის საერთო საქმის ინტერესებისათვის, ნათქვამია დასასრულ სტატიაში.

ფოტოეტიუდი

სოციალიზმის ქვეყნებში

გდრ

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის საიუბილეო წელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მცხოვრებნი დიდ ინტერესს იჩენენ კულტურისა და ხელოვნების დარგში საბჭოთა მშრომელების მიღწევებისადმი.

წლეულს რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში კონცერტებს გამართავს საბჭოთა კავშირის 16 ანსამბლი და მხატვრული კოლექტივი.



სურათზე: ჩრდილოეთ რუსეთის სახელმწიფო ხალხური გუნდის მოცეკვავეთა ჯგუფმა, რომელიც საგასტროლოდ გერმანელ მეგობრებთან ჩავიდა, კონცერტი გამართა დრეზდენის ცვინგერის სახახლეში.

ადნ-საკადესის ფოტო.

ბულგარეთი

ამას წინათ შავიზღვისპირეთის კურორტ „დრუჟბაში“ ტურისტებისა და დამსვენებლებისათვის გაიხსნა რესპუბლიკაში ყველაზე საუცხოო სასტუმრო „ვარნა“. მასში რვაასი ადგილია, რამდენიმე რესტორანი, სათამაშო დარბაზები, საცურავი აუზი, კაბინეტები ბალნეოლოგიური და ფიზიოთერაპიული პროცედურებისათვის. სასტუმრო იმუშავებს მთელი წლის მანძილზე.

სურათზე: სასტუმრო „ვარნის“ ერთ-ერთი ინტერიერი.

სოფია პრესის საagენტოს ფოტო.

ნ. ვენსის მოლაპარაკება

● უთანხმოებანი მაინც რჩება ● საიდუმლო ამერიკული გეგმა ● ა. სადათის თათბირი

ამანი. 8. აგვისტო. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ს. ვენსმა დაამთავრა მოლაპარაკება იორდანიის მეფე კუსეინთან და საუდის არაბეთში გაემგზავრა.

აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ს. ვენსმა, როგორც სააგენტოები აღნიშნავენ, პრაქტიკულად ცნო, რომ იგი თითქმის უარს ამბობს ამერიკა-ეგვიპტის წინადადებაზე მომავალ თვეში ნიუ-იორკში შეხვდეს სირიის, იორდანიის, ეგვიპტისა და ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრებს ეგრეთ წოდებული „სამუშაო ჯგუფის“ ფარგლებში. ამავე დროს მან იმედი გამოთქვა, რომ მოახერხებს „ნაკლებად ოფიციალურ ვითარებაში“ მოელაპარაკოს ამ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს, რომლებიც სექტემბერში ჩამოვლენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე.

თავის ახლანდელ მოლაპარაკებას რომ შეეხო, ვენსმა აღნიშნა, რომ „რამდენადმე შეეცირდა“ უთანხმოება არაბებსა და ისრაელს შორის საზავო ხელშეკრულების ხასიათის საკითხის გამო. ამასთან მან აღნიშნა, რომ პალესტინის საკითხში უთანხმოებანი მხარეებს შორის კვლავ რჩება.

დამასკი, 8 აგვისტო. (საკადესი). სირიაზე გაელენის მოსდენის მიზნით აქ ჩამოვიდა საუდის არაბეთის მეფის მრჩეველი, რომელიც შეხვდა პრეზიდენტ ჰ. ასადს, როგორც სირიის სააგენტო სანა იტყობინება, სირიის უარი „სამუშაო ჯგუფის“ შექმნის წინადადებაზე საუდის არაბეთის გაღიზიანებას იწვევს.

პარიზი. 8 აგვისტო. (საკადესი). როგორც ამტკიცებს ყოველკვირეული ჟურნალი „ალ-ვატან ალ-არაბი“, რომელიც აქ არაბულ ენაზე გამოდის, შემუშავებულია ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგების საიდუმლო ამერიკული გეგმა.

ამ გეგმის მიზანია გადააქციოს ამერიკის შეერთებული შტატები არა შუამავლად, არამედ ერთადერთ არბიტრად, რომელიც ისარგებლებს შეუზღუდველი უფლებებით მოაწესრიგოს არაბეთ-ისრაელის კონფლიქტი; მდინარე იორდანისა და დაზის სექტორში დაამყაროს იორდანიისა და ისრაელის სუვერენიტეტი და 1980 წლისათვის შექმნას იქ პალესტინის სახელმწიფოს ორგანოები, რომელიც ორგანულად იქნება დაკავშირებული იორდანიასთან და განახორციელებს ნეიტრალიტეტის პოლიტიკას; ექვსი წლის შემდეგ გამართოს ამ რაიონში რეფერენდუმი, რომელიც განსაზღვრავს პალესტინის მთავრობის ტიპს „იორდანიასთან ფედერალური კავშირის ფარგლებში“.

კაირო, 8 აგვისტო, (საკადესი). აქ გაიმართა პრეზიდენტ ა. სადათის თათბირი მთავრობის წევრებთან, რომელზეც განიხილეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან მოლაპარაკების შედეგები. ა. სადათი ამ შეხვედრაზე ამტკიცებდა, რომ „სამუშაო ჯგუფის“ სხდომები არ შეცვლის ენერგიის საზავო კონფერენციას ახლო აღმოსავლეთის საკითხზე.

□

საიდუმლო ექსპერიმენტები

ვაშინგტონი, 8 აგვისტო. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ვაშინგტონის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ლაბორატორიები გადააქცია ადამიანთა „ონტებისადმი ფსიქოლოგიური კონტროლის“ დამყარების საიდუმლო ექსპერიმენტების მოწყობის ერთ-ერთ ცენტრად. ეს ცდები, წერს „ვაშინგტონ პოსტი“, უნივერსიტეტში მრავალი წელია ეწყობოდა. საზარელი ექსპერიმენტების მიზანი, წერს გაზეთი, იყო იმის შესწავლა, თუ როგორ გამოეწვიათ „ტოქსიკური ფსიქოზი, ორიენტაციის დაკარგვის უბრალო გრძნობა გადაექციათ კომპატიურ ან ბოდვის მდგომარეობად“.

ამ ექსპერიმენტების განხორციელებისათვის საჭირო სახსრები კერძო ფონდის საშუალებით გადმირიცხებოდა. სულ „ფსიქოლოგიურ დარგში“ კვლევისათვის დაზვერვამ ჯორჯთაუნის უნივერსიტეტს დაახლოებით 750 ათასი დოლარი გამოუყო.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოპერაციები ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში, ხახს უსვამს „ვაშინგტონ პოსტი“, „ონტებისადმი კონტროლის“ ვრცელი პროგრამის ნაწილი იყო.

როგორც ცნობილი გახდა, 1953-1964 წლებში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ფართო მასშტაბით აწარმოებდა „მკულტრა“ საიდუმლო პროგრამას ადამიანთა ქცევასა და აზროვნებაზე ზემოქმედების საშუალებების შექმნის მიზნით. ექსპერიმენტები მოეწყო 154 კოლეჯსა და უნივერსიტეტში. ამ ექსპერიმენტების დროს იყენებდნენ ნარკოტიკებს, ალკოჰოლს, ქიმიურ და ელექტროშოკს.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წარმომადგენლები, კერძოდ, ამ უწყების დირექტორი ს. ტერნერი, პოლიტიკურ მოღვაწეებს, პრესასა და საზოგადოებრივობას არწმუნებენ, რომ ამგვარი ექსპერიმენტები შეწყვეტილია. მაგრამ, როგორც პრესა აღნიშნავს, ამერიკელები ვერ დაარწმუნა ლიტონმა განცხადებებმა.

ბ. ბორისოვი

ცხოვრება ძვირდება

● ბრიუსელი. „საერთო ბაზრის“ წევრ ქვეყნებში კვლავ ძვირდება ცხოვრება. როგორც ევრობის გაერთიანებათა კომისია იუწყება, ივნისში სამომხმარებლო საქონლის ფასებმა საშუალად ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნებში 11,3 პროცენტით მოიმატა.

